# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 189. | კვირა, 1 თებერვალი 1904 წ. | გაზეთის № 2396.

# სოფლად

„თავადი მიშა აბაიძე პირველად გავიცანი“—ასე დაიწყო ჩემმა მეგობარმა, როდესაც სოფლის საჭირ-ბოროტო საქმეებზედ კარგა ხანს ვილაპარაკეთ.—„ტფილისში, ერთის ჩემი ნაცნობის ოჯახში და უნდა გამოგიტყდე, პირველად ჩემზედ უცნაური შთაბეჭდილება იქონია. ის იყო 24—25 წლის ყმაწვილი კაცი, ლამაზი, ტანადი, მოხდენილი ვაჟ-კაცი, მუდამ აღტაცებული, ერთს ალაგს დაუყენებელი, მუდამ მომცინარი, მუდამ იმ ფიქრში მყოფი, სად წავიდეს, ვინ გაიცნოს, ვის სიყვარული გულში აღუძრას, ვისგან სიყვარულით დაიკოდოს, სად უფრო მხიარული დრო გაატაროს. ის იყო სიცოცხლით სავსე და ცხოვრება იმისთვის მუდმივი კონცერტი იყო, თეატრი, საცეკვაო საღამო თავისის ბუფეტებით, მოარშიყე ქალებით და მსუბუქის სიამოვნებებით. მხიარულად ატარებდა დროს და სადაც შევიდოდა, ყველგან სიმხიარულე შეჰქონდა.

მიშას განწყობილება ყველასთან კარგი ჰქონდა. ამხანაგები შურით შესცქეროდნენ და იმის ალაგას ყოფნას ნატრულობდნენ. ქალებს ძალიან უყვარდათ. საზოგადოდ კი მოწამლული, მოშხამული, დაღლილი ადამიანი იმისი ხილვით, იმასთან ლაპარაკით ისვენებდა. თავს თავისუფლად ვგრძნობდი, როდესაც ვუყურებდი იმის გაშლილს, გაბრწყინვალებულს სახეს, კოხტა მიხვრა-მოხვრას, ძვირფასს ჩაცმულობას, მის სრულ კმაყოფილებას და ბედნიერებას. ხშირად ჩავფიქრებულვარ და თავს დავკითხებივარ: აქ ხომ არ იმალება ის, რასაც ბედნიერებას ვეძახით და რასაც ბევრი ჩვენგანი ვეძებთ და ვერ ვპოულობთ?! მიშა აბაიძე სრულიად კმაყოფილი იყო თავისს თავისა, ცხოვრებისა და ადამიანისა. სხვას არაფერს არ თხოულობდა და თუ რამე კიდევ მოეთხოვებოდა მათ, არც ეს იცოდა. სხვა რა უნდა კაცს? სხვა იქნებ კიდევ შორს წავიდეს, მე კი უნდა გითხრა, სხვა არა მინდარა და არც ძე́ნას დავუწყებ!...

პირველ გაცნობის შემდეგ მე და თავადი მიშა კიდევ ბევრჯელ შევხვდით და უფრო დავმეგობრდით, რადგან ის, გამოტეხილი უნდა გითხრა, მეტად მიზიდავდა, რაიცა იმან კარგად იცოდა. ამიტომ ხშირად მეხვეწებოდა, ერთხელ როდისმე იმის სახლში მივსულიყავ და იმისი ოჯახი მენახა. მე, რასაკვირველია, ვპირდებოდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ასე მიდიოდა დრო, როდესაც ერთხელ საქმე შემხვდა გორში და რადგან მიშას სახლი გორიდან სამ ვერსზედ იყო, გადავსწყვი-




**იმპერატორი სრულიად რუსეთისა ნიკოლოზ II**

მე არ მოგიყვები იმის ოჯახის აწერას. მიშა აბაიძე შეძლებული თავადი იყო გორის მაზრაში და იმის დიდს ქვითკირის სახლს და მრავალ გვარს შენობებს არ გაუკვირვებივარ. ის იყო ძველის თავადიშვილის ძველი სახლები, ძველის ციხითა და ძველის საყდრით, ერთის სიტყვით, რაც გაუკეთებია მამა-პაპას და რაზედაც შეჩერებულა.

მიშას მამა აღარა ჰყავდა. სახლში დედამ და ცოლმა მიმიღეს. მოვახსენე ჩემი ვინაობა და ისიც, რომ მიშა დიდიხანია მპატიჟობს და მოვედი იმის სანახავად.

— მობრძანდით, მობრძანდით, მიშა სახლში არ არის, მაგრამ ეხლავე მოვა.—თავაზიანად მიმიპატიჟეს სახლში კნეინეებმა.

ვინც მიშას იცნობდა, ადვილად მიჰხვდებოდა, რომ ერთი მათგანი იმისი დედა იყო, ისე ჰგვანდა მიშა დედას. მაღალი, წარმოსადეგი, იგი იყო ერთი იმ ლამაზ ქალთაგანი, რომელსაც დრო თავის კვალს ამჩნევს, მაგრამ სილამაზის ნაშთი მაინც რჩება და არის წუთები, როდესაც უწინდელი სილამაზე სახეზე გაუელვებს და კაცს მხოლოდ მაშინ შეუძლიან წარმოიდგინოს იმისი სახე სიყმაწვილის დროისა. ის ერთ და იმავე დროს თავაზიანიც იყო და ამაყიც, სიამაყე თავაზიანობას არ უშლიდა და თავაზიანობა სიამაყეს. ეტყობოდა, რომ თავის ფასიც იცოდა და არც სხვას აკლებდა ფასს. ცოლი მიშასი ყმაწვილი იყო, შუა ტანისა, სანდო და ეშხიანის სახის ქალი; დიდრონ შავს თვალებში ყმაწვილურ სიცოცხლის მაგიერ რაღაც სევდა იხატებოდა; ეტყობოდა, ამ ნორჩ არსებას ადრე უგრძვნია დარდი, ვარამი, რომ იმისი სიყმაწვილე შელახულა, დაჩაგრულა, სადღაც მიმალულა.

ჩვენ ვისხდით ფართო, ევროპიულად მოწყობილ, სასტუმრო ოთახში და როგორც ახლად გაცნობილი ხალხი ლაპარაკს ვერ ვახერხებდით.

— სად გახლავთ მიშა?—ვკითხე.

— გორში წავიდა... კარგა ხანია... საცაა უნდა მოვიდეს.—თითქოს ნამდვილს არ მეუბნებიანო, ისე მიპასუხა დედამ.

კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო კითხვა-პასუხი და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ლაპარაკი როგორღაც არა ხერხდებოდა. პატარა კნეინა ხომ სულ ხმას არ იღებდა. ორივეს რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდათ და ხან ერთი გავიდოდა ოთახიდან, ხან მეორე. თავს უხერხულად ვგრძნობდი, ვატყობდი, რომ მეტი ვიყავი, რომ ჩემთვის არა სცალოდათ, არა და, რაც უარესი იყო, არაფრად ჩამაგდეს, ამიტომ ავიწიე და გამოთხოვება დავაპირე.

— ვინა ეს, კნეინა, მიშა?—მაინც ვიკითხე მე.

— დიახ, მიშა... თქვენ ვერ წარმოიდგენთ,—ცოტაოდენის ყოყმანის შემდეგ განაგრძო კნეინამ,—რა გულის ხეთქაში ვართ, როცა კი მიშა გორში დაიწყებს ქეიფსა. მთელი პოლიცია ფეხზედ დადგება გოლმე. ამას წინად მაზრის უფროსმა მითხრა: გუბერნატორისაგან ბრძანება მომივიდა, თუ ერთი კიდევ რამე დააშავოს თავადმა მიშა აბაიძემ, მაშინვე მაცნობეთ და მე ადმინისტრატიულის წესით რუსეთში გავგზავნიო, და აი შეხედეთ, ეხლა თურმე რაებს სჩადის!... ყოველ დღე ამ



იაპონიის იმპერატორი მუცუჰიტო



რუსეთის ცხენოსანი ჯარი, ნიუჩუანს მამავალი.

ცოტა არ იყოს გავკვირდი, მაგრამ მაინც დავაპირე წასვლა.

— სხვა დროს გიახლებით, ბატონო, როცა მიშა სახლში იქნება.

— არა, არა,—მხიარულად მიპასუხა მიშას დედამ, არ გაგიშვებთ. აი, საცაა მიშაც მოვა.. ბიჭი გავგზავნეთ... შეუთვალეთ, რომ თქვენ აქა ბრძანდებით... პატარა კიდევ მოითმინეთ!...

— დარჩით, ნუ წახვალთ. — მორცხვად მთხოვა მიშას ცოლმაც.

— როგორც გვითხრეს... თურმე მიშა... ქეიფობს გორში და გვეშინიან, არაფერს გადაეკიდოს, არაფერი მოუვიდეს. მოგეხსენებათ, ჩვენ ყმაწვილ-კაცებს სისხლი უდუღთ და...

ამ დროს გაიღო კარები და კარებში ძლივს შემოვიდა მთლად შეიარაღებული ჩაჩანი. მე ისევ ჩემს ალაგს დავჯექი. ჩაჩანი გაჩერდა კარებში, რაღასიც თქმა უნდოდა, მაგრამ უცხო კაცი რომ დამინახა, შეიკავა თავი და გადახედა ორივე კნეინებს.

ჩვენ ყველამ მივიხედეთ იმისკენ, პატარა კნეინა წამოვარდა ზეზედ და დააპირა გასვლა, მაგრამ ამ დროს დედამთილმა მიმართა ჩაჩანს რუსულად:

— Что, дундакъ?

ჩაჩანი შეინძრა და ხანჯალზედ ხელი დაიდო.

— Что!... духанъ поламалъ... стрѣлиайгъ.. одинъ побьетъ... другой побьетъ... я пошелъ оттудъ...

— ერთი შეხედეთ, თავი დაუნებებია!— შესძახა კნეინამ,—ступай, ступай—აჩქარების ხმით მიუბრუნდა ჩაჩანს— ступай назадъ, осѣдлай лошадь и поѣзжай!

— Скорѣе, пожалуйста, Дундакъ!—შეევედრა პატარა კნეინა.




იაპონია

1. არტილერია

არგენტინის რესპუბლიისაგან იაპონელების მიერ შეძენილი გემი. გემს

რუსეთი

1. ყაზახი.

Доз. ценз. Тифлисъ

გემი „კაცუგა“



გემი „ნიჩშან“.



ეს ორი გემი არგენტინის რესპუბლიკისათვის იყო დამზადებული იტალიაში, შეიძინეს იაპონელებმა.

შორეულ აღმოსავლეთის უმთავრესი სიმაგრე





ნავთ-სადგური პორტ-არტური, რომელსაც 27 იანვარს იაპონელები ერთის საათის განმავლობაში ზარბაზნებს ესროდნენ.

ტანჯვაში ვართ... ზედ დავკანკალებთ. რომ მართლა გაჰგზავნონ, რაღა ვქნათ? ერთად ერთი შვილი მყავს ეგა, ამასაც—მიიხედა რძლისკენ—მზე და მთვარე იმაზედ ამოსდის...

რძალმა თვალები დაჰხარა და მძიმედ ამოისუნთქა.

მე თანაგრძნობით შევყურებდი ორივეს, მაგრამ არაფერს ვამბობდი, რადგან ჩემს თავს ნებას არ ვაძლევდი ამ ლაპარაკში ჩავრეოდი, მაგრამ ესეც არ უნდოდა. ეტყობოდა, კნეინას უნდოდა უთუოთ გამოეთქვა რაც სულსა და გულს უღელავდა და ამიტომ განაგრძო:

— ცოტაოდენი მიზეზი უნდა, რომ შემოგვწყრეს და გორისკენ გაექანოს. იქ დათვრება, მიურმოურევს იქაურობას და მთელ გორს ფეხზედ დააყენებს. მეორე დღეს უნდა გავექანოთ მაზრის უფროსთან თხოვნით, ხვეწნით გავაჩერებთ, დავახევინებთ ქაღალდებს, მაგრამ როდემდის? ეგ თავისას არ იშლის! ვეხვეწებით, ვეუბნებით, აქ, სახლში დალიე, მოიყვანე ვინც გინდა, იქეიფე როგორც გინდა, რა ნაირადაც გინდა, მაგრამ არ გვიგონებს...

კარები კიდევ გაიღო და შემოვიდა ყმაწვილი ჩოხიანი მოსამსახურე, რომელიც მე აღარ მომრიდებია და გულ-მოსული წამოიძახა:

— ვერაფერი გავაწყე, კნეინა. დოუქერია ზურნა, ბატონო, ჩამჯდარა ფაიტონშიდ და დააქანებს ქუჩებში....

— მერე წამოსვლას არ აპირებს?—ჰკითხა კნეინამ.

— რა მაგახსენო, ბატონო, მე გამლახა და ქე გიახელით!—ნაწყენის გულით სთქვა იმან და გატრიალდა. იმას გაჰყვა პატარა კნეინაც.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. კნეინა რაღაზედაც ჰფიქრობდა. მეც უსიამოვნო ფიქრებს მივეც თავი.

არ გასულა სამი წამი, რომ პატარა კნეინა გაფაციცებული შემოიჭრა და შეშინებულის ხმით გვამცნო:

— დედა, მოდიან, მოდიან. აქ სოფლის დუქანთან მოსულან... ზურნის ხმაც მოდის, დაუგდეთ ყური....—ჩვენ ყველამ სულები შევიგუბეთ და ყური მიუგდეთ. მართლაც დოლის რახუნი ისმოდა.

ორივე კნეინა კარში გაცვივდა. მე უნებლიედ გამეცინა, რა იყო? რა მოხდა?—ვფიქრობდი—ყმაწვილი კაცი მთვრალია,

ომის დროს ომის უფროსთან მორბიან ერთი ერთმანეთზედ შიკრიკები და გაფაციცებით აუწყებენ ომის ვითარებას, ისე მორბოდნენ ჩვენთან მოსამსახურეები და გვაუწყებდნენ მიშას ქეიფის ვითარებას.! რა იყო? რა მოხდა?—ვიოცებდი და სწორე გითხრა, მინდოდა ჩქარა მენახა ეს საშინელება. მე გაველი

ჯგუფულიყვნენ და ერთს წერტილს მისჩერებოდნენ. ზურნის ხმა თან-და-თან ახლოვდებოდა.

სგ. ყიფიანი

(დასასრული იქნება).

# ნარევი

**ამერიკულად.** ტეხასის შტატში არსებობს ქალაქი გალვესტონი. ქალაქი დაბლობშია გაშენებული, რაიც მცხოვრებთ არ მოსწონდათ, რადგან უსუფთაობის მიზეზად ამასა სთვლიდნენ. ერთ მშვენიერ საღამოს ქალაქის თვით-მმართველობამ გადასწყვიტა, ქალაქი გალვესტონი სხვა უფრო მაღალ ადგილას გადაიტანოს. მხნე იანკებს დიდ ხანს არ უყოყმანიათ და ქალაქის გადატანის საქმე იქვე იჯარით გადაუციათ ერთის კაცისთვის. იჯარადარმა ყველაფერი უნდა გადაიტანოს: საზოგადო დაწესებულებათა შენობანი, კერძო სახლები, ბაღები, ქვები, რომლებითაც ქუჩებია დაგებული, ერთის სიტყვით, მთელი ქალაქი. გალვესტონის მცხოვრებნი გახარებულნი არიან, რომ პირველად ჩვენ მოგვივიდა ასეთი კარგი აზრიო.

—

**რასა სჭამენ კორეელები.** მოგეხსენებათ, ჩინელების საყვარელი საჭმელი თაგვი და მერცხლის ბუდეა. კორეელებსაც ჰქონიათ თავიანთი „საერო საჭმელი“. ყველაზე მეტად კორეელებს ძაღლის ხორცი უყვართ. განსაკუთრებით უყვართ ერთ გვარის ჯიშის ძაღლი, რომელსაც დიდი ფასი აქვს. ყველასა ჰყავს თითო-ოროლა ეს „საკლავი ძაღლი“.




ავჭალაში ფილტრების (წყლის საწმენდი) გაკეთება.




ელექტრონით განათების საქმე ტფილისში ამაზე უფრო ჩქარა ვერ მიდის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.